


მიქელ-გაბრიელის ეკლესია მონასტრები

თათია ხომერიკი
ოზურგეთის რაიონი
კ. მეგრელიძის სახელობის
სოფ. შრომის საჯარო სკოლა
IX კლასი
2006 წელი



მიქელ-გაბრიელი უძველესი საზოგადოება შდიოდა ოზურგეთის მაზრაში. მისი ტერიტორიული საზღვრები მოიცავდა ახლანდელი სოფლების – შრომის, ნატანების, ურეკის, ნახილობრივ სოფ. წყალწმინდის (ამჟამინდელ ლანჩხუთის რაიონში სედის) არეალს. მას აღმოსავლეთით საზღვრავდა ხვარბეთის საზოგადოება, დასავლეთით შავი ზღვის ნაპირები და სახაზინო ტყეები, სამხრეთით – მდინარე ნატანები და ჩრდილოეთით მდინარე სუფსა.

ილია ჭავჭავაძისეული “ივერიის”, ასევე “კვალის” ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა კორესპონდენციები ამ საზოგადოების კულტურისა და რელიგიურ დაწინაურებულობაზე. თ საზოგადოება თვის “მოგზაურობაში” ეხება მიქელ-გაბრიელელთა სოციალურ მდგომარეობას, გზებს, ეკონომიკურ პირობებს.

საზოგადოებას დაერქვა მთავარანგელოზების სახელები მას შემდეგ, რაც მოსახლეობამ მათი სახელობის ტაძარი ააგო. ცოდვა–მადლიანობის გამსჯელ წმინდანებს ხალხი ლოცვა–კურთხევით მოიხსენიებდა, მტკიცედ იცავდა ქრისტიანულ ადათ–წესებს, ინახავდა მარხვას, საეკლესიო დრესასწაულებს აღნიშნავდა, შესაწირავიც მიჰქონდა.

ამ ტაძრის აგებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბერს –

იესე ბოლქვაძეს. თუ ხალხურ გადმოცემებს მივიღებთ მხედველობაში, ამ ჭმინდა მამას, ჯერ კიდევ მცირედ დასახლებულ არეში, მდინარე სეფისწყლის ღელეებიდან საკუთარი ხელით ამოუღია ბრტყელი ქვები. მორწმუნენიც დახმარებიან და ჯერ მცირე სამლოცველო აუგიათ, შემდეგ კი გაუფართოვეს, რაც გამოიწვია მრევლის თანდათან მომრავლებამ საყდარში. ქვის ეკლესიის შემდეგ, მალე საკმაოდ მოზრდილი, ხის ეკლესია აუშენებიათ. მორწმუნენი იჩნდნენ ქველმოქმედებას (სიღრიბის მიუხედავად), რათა ტაძარი ფრესკებით და ხატებით შეემკოთ. ერთ–ერთ მათგანს ვერცხლით მოჭედილი წმინდა გიორგის ხატიც შეუწირავს. ამ ცნობებს გვაწვდის აწ განსვენებული აზნაურის, სახალხო მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის, გერასიმე ბოლქვაძის დაუბეჭდავი ხელნაწერები.

მიქელ-გაბრიელის ეკლესიას დასავლეთით, დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე, ისეთივე მაღლობ ადგილებზე, როგორზეც ხსენებული ეკლესია იდგა, ე.წ. “მაცხოვრის ღელე” ჩამოუდიოდა. აქ დაკვირვებული თვალი შამჩნევს ერთ ნაეკლესიარს, რომლის ხსენება დაიკარგა თვით სოფელ შრომის უხუცეს მაცხოვრებელთა მეხსიერებაშიც. კუთხეს დღეს შმორჩა სახელწოდება “ნასაყდრალი” ღელის სახელწოდებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ეს მცირე საყდარი მაცხოვრის სახელობისა უნდა ყოფილიყო და თან მიქელ-გაბრიელის ეკლესიათაგან ერთ–ერთი უძველესი.

მეტრთა შემოსევებმა და ჟამთა სიავემ აღგავეს მიწისაგან პირისა ძველი მიქელ გაბრიელის ტერიტორიაზე არსებული, ასევე უძველესი ქრისტიანული სალოცავი ორმეთში, რომელსაც ხალხი “ხატის საყდრის” სახელით მოიხსენიებდა. ამ ეკლესიის ნაშლი მასალიდან აუგიათ ქარჩავების – ადგილობრივ მკვიდრთა ეზოების ქვის გალავნები. მიწის დამუშავებისას ხშირად პოულობდნენ ზვირფას ლითონებსა და განძეულობას. აქ ჩამდინარე ღელემაც შემოგვინახა ამ “ხატის საყდრის” უზველესი სახელი “ხატის ღელე”.

სოფელ ვაკეში, პოეტისა და დრამატურგის იონა ვაკელის (მეგრელიძის) ყოფილ ეზოსთან, ბექობზე გამოსაჩენ ადგილზე არის ქრისტიანული ციხე-ტაძრის კვალი. 80-იანი წლების დასაწყისში, ახალი სამოსახლოს გასამართავად, მიწის გასწორებისას, აღმოჩნდა ნაგებობის საინტერესო საძირკველი და საიდუმლო გვირაბი. ამ ნატაძრალის ახლოს 200 მეტრის მოშორებით, იმავე ქედის გაყოლებაზე, ჯიშების ეზოსთან უკუნდგარის ღელის კლდე-ხე-ტაძარი, თავისი გალავნითურთ, 1987 წლის ბოლომდე, დაახლოებით 20-25 მეტრის სიმაღლის ჩრდილო-დასავლეთის სარკმლებიანი კლდის კუთხე იყო შემორჩენილი. ასევე, შინიშნეოდა ფრესკის დეტალების ნიმუშებიც, კლდეში მოჩუქურთმებული ქვის თაროები, სადაც წმინდა წიგნებს დებდნენ და სანთლებს ანთებდნენ. იგივე ჩვენმა უგულოებამ და



აქვე ჩამოედინება “მაცხუარის ღელე”

დაუდევრობამ მოშალა ეს უძველესი მატერიალური ძეგლიც.

სოფელ ხრიალეთში, სადაც დაწყებითი სკოლა იდგა, ჟამთა სიავეს გადარჩნილი ტაძარი მოქმედებდა. მავანნი თვლიდნენ, რომ ამ ეკლესიის ზარი გამოირჩეოდა მჟღერი, არამელოდიური ხმით, კუთხემაც აქედან მიიღო სახელწოდებაო. ეკლესიის დანგრევის შემდეგ, ეს ზარი ხმიანობდა ამ სკოლის ნაგებობაში. ასე, რომ, არა - “ხრიალა”, არ ამედ წკრიალა ხმით მოგუგუნე ზარი კვლავ



ხრიალეთის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ნანგრევები

ცოცხლობდა და მოგონებებს აღძრავდა ამ წმინდათაწმინდა რელიქვიისადმი. დღეს ეს ზარი შემოქმედის მონასტერში ჰკიდია.

ხრიალეთის ეკლესია ხის მაღალ ნაგებობას წარმოადგენდა, აქ მოღვაწეობდა მღვდელი რომანოზ მეგრელიძე, ნიჭიერ და ხალხის



ხრიალეთის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ნანგრევები

სიყვარულით გარემოცული ჭეშმარიტი მოძღვარი. ვერც მან და ვერც მისმა მრევლმა ვერ შეძლეს 1942 წლის რეპრესიების ერთ სუსხიან დღეს შეეკავებინათ ადგილობრივი ხელისუფლების სისასტიკე. გიან ღამით თავს დაესხნენ ბოლშევიკები ტაძარს და ცეცხლს მისცეს იგი.

ხრიალეთის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქვის უძველესი ეკლესიის ნაშთები - უტყუარი მოწმეა ჩვენი

თავისთავადი ქრისტიანული კულტურისა, საბოლოოდ მაინც რომ ვერ გათელეს, წამოაჩოქეს და მოსპეს ათეისმის სენით დაავადებულმა კომუნისტებმა. ეს ტაძარი იშვიათ არქიტექტურის ძეგლს წარმოადგენს. მტკიცედ ნაგები, ფრესკებითა და შსანიშნავი მხატვრობით შესრულებული, შემთხვევით გადარჩენილი უნიკალური მოზრდილი ზომის ოთხკუთხიან კარებიანი ტაძარი, ბერ-მონაზონთა მონასტრითა და სხვა დამხმარე მეურნეობის ნაგებობის ანსამბლით. 1943 წელს თვეობით ირღვეოდა, აქაოდა სკოლის ასაშენებლად საჭირო მასალა გვკირდება და ვნახოთ, ვინ გაბედავს და ხელს შეგვიშლის მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაშიო! იმ დროს, როდესაც ამ ტაძრიდან რამდენიმე კილომეტრით

დამორებული სკოლის გვერდით, 10-15 მეტრში ჩამდინარე მდინარე, სავსე იყო მსგავსი და უკეთესი სამშენებლო მასალით. არავინ აღმოჩნდა, სამწუხაროდ ამ ღვთის საგმობი საქმის შემჩრებელი. უფრო მეტიც, გაღავანი ნაწილობრივ დაანგრის, გუმბათი მთლიანად მოარღვიეს, კედლებისა და გუმბათის ნაშალი ნაწილი, რაც მათი "იდებების"

განსახორციელებლად გამოუსადეგარი აღმოჩნდა, მთლიანად გადაიფარა მიწაყრილით.



წმ, პანტელეიმონის სახელობის ნატანების ეკლესია.

ხუთი წლის წინ, სოფელ შრომის მოსახლეობის ზალისხმევით, მიწისა და ქვადორღისაგან განთავისუფლდა ეს საუკეთესო ტაძარი, სოფლის მარადჟამიერი სიამაყე. მონასტრის გადასახედიდან, ჩვენს თვალწინ იშლება თვალშეუდგამი სილამაზე, შეიარეღებული თვალით კი, შეამჩნევთ გურიის მშვენიერების - ჯუმათის მონასტრის კონტურებს და მის გასწვრივ

გადაჭიმულ გურია-აჭარის მთებს.

როგორც აზნაურ გერასიმე ბოლქვაძის დაუბეჭდავი ხელნაწერებიდან ვიგებთ, დღევანდელი სოფელ ნატანების ცენტრთან ახლოს მდგარა წმინდა ნიკოლოზის ქვის ეკლესია, იშვიათი ხატებით შემკული, მოხატულ-მოპირკეთებული. 30-იანი წლების რეპრესიებს ვერც ეს ტაძრი გადაურჩა. ანტირელიგიური ხელი ამ ტაძარსაც შეეხო. ეკლესიაც განადგურებულ და გაზარცვულ იქნა.

ღვთისა და ერის შემწეობით, ნატანების ცენტრში აიგო პატარა, მაგრამ კოხტა ღვთის სახლი. უფალმა ისმინა არა მხოლოდ ახალგაზრდა, არამედ ასაკში მყოფი მორწმუნეების ლოცვა-ვედრება: ჩვენს სოფელს ეკლესია ჰქონდეს და შიგ ლოცვა-კურთხევა აღევლინებოდესო. შემოქმედელმა ეპისკოპოსმა, მეუფე იოსებმა ეკლესიის საძირკველი 1999 წლის 23 აგვისტოს აკურთხა. 2002 წლის 9 აგვისტოს კი ძველი მიქელ-გაბრიელის მიწაზე ახმიანდა საეკლესიო ზარი. მეუფე იოსებმა უკვე წმინდა მოწამე პანტელეიმონის სახელზე ეკლესია აკურთხა და მორწმუნეების გულში ამ დღიდან ღვთისა და მოყვასის სიყვარულის ყვავული გაიშალა.

დევნისი მოძღვრები

1922 -23 წლების რეპრესიები განსაკუთრებით მძიმე და შეურაცხყოფელი აღმოჩნდა ჩვენი სათაყვანებელი მრავალსაუკუნოვანი ეკლესიისათვის. 1200 წმინდა ტაძარი განადგურდა, დაიწვა უნიკალური ხელნაწერები, რეპრესირებული იქნა თვალსაჩინო სასულიერო პირნი, ვინც დაუცხრომლად იღწვოდნენ ერისა და მართლმადიდებლობის სახელით ბოლშევიზმის ურჩხულთან. გავიხსენოთ, თუნდაც, წმინდა მღვდელ-მოწამე ნაზარე, ქუთათელ გენათელი მიტროპოლიტისა და მისი კრებულის მოწამეობრივი თავგანწირვის ამბავი, როცა რამდენიმე დღის მანძილზე ნაწამები ეს ღირსნი მამები საფიჩხიას ტყეში განუკითხავად დახვრიტეს.

გურიის მიწაზეც ხსირად დატრიალებულა მსგავსი დევნისა და კაცთა კვლის საშინელებანი. სოფელ ფამფალეთისა და ვაკიჯვრის ტაძრებს ღირსეულად წინამძღვრობდა ნიკიფორე თხილაშვილი, რომელსაც არ აპატიეს "სიჯიუტე", ღვთისმსახურების ფარულად აღსრულება და თბილისში გადაგზავნილი დაპატიმრებული მოძღვარი 1937 წელს დახვრეტილი იქნა. რომელი ერთი ღირსეული ღვთისმსახური ჩამოვთვალეთ, ვინც ზვარაკად ეწირებოდა რწმენის დაცვის წმინდათაწმინდა სახელს. მიქელგაბრიელთა თუ აქ მოღვაწე წმინდა მამებსაც არ დასდგომიათ "გულთ გაამი ჟამი". ჩეკა აქაც ებრძოდა სასულიერო პირებსა და მორწმუნეებს. ეწეოდა შანტაჟს, აგროვებდა ყალბ, შეთითხნილ ბრალდებებს, რათა სასტიკად გასწორებოდნენ "მეამბოხეებს".

მღვდელი - რომანოზ მეგრელიძე (დაბადებული 1878 წელს) ცდილობდა ეკლესიისა და სარწმუნოების დევნის მთელი სიმძიმე საკუთარი მხრებით ეზიდნა და მკერდით დაეცვა თავისი შემინებული და აფორიაქებული მრევლი. მას ადგილობრივმა ხელისუფლებამ კატეგორიულად აუკრძალა ღვთისმსახურება და როცა დარწმუნდნენ რომანოზის მტკიცე და უკომპრომისო ხასიათში, შემოდგომის ერთ საღამოს, ლამპებით ხელში ცხენზე ამხედრებულმა რამდენიმე ბოლშევიკმა, ხალხის თვალწინ ცეცხლი წაუკიდა ხრიალეთის ხის ეკლესიას. ყიჟინი, ლანძღვა-გინება და ცეცხლის ენები ერთმანეთში ირეოდნენ, ქალები კიოდნენ, მოხუცები ბუზღუნებდნენ და მოითხოვდნენ ამ ურჯულოთა შეყენებას.

სანამ სატანა კვლავ იკრებდა ძალებს, დარჩა რომანოზი, რომ იტყვიან, ღია ცის ქვეშ უფლება აყრილი და ადამიანურ სიბოოს მონატრებული, მას შემდეგ, რაც ვერ შეძლო არაკაცების შეჩერება და თავისი საყვარელი მონასტრის გადარჩენა, როგორც მემკვიდრეებმა გადმოგვცეს, "ხელი მიუყვია მეურნეობისათვის, იქვე სახლთან, ჩამდინარე ღელესთვის ხალხს ხუცისწყალი დაურქმევიათ მოძღვარის სიყვარულით, შესაბამისად კუთხესაც აქედან მიუღია სახელწოდება. ამ ღელეზე მოწყობილი წისქვილითაც გაუმართავს ხელი რომანოზს მეზობელი გლეხებისათვის.

რომანოზი ღვთისმსახურებას ფარულად ასრულებდა, ნათლავდა ბავშვებსა და მოზარდებს, რაც არ გამოპარვიათ სოციალისტური რეჟიმის დამქაშებს. ოზურგეთის ჩეკაში დაპატიმრებულ მოძღვარს დაკითხვას დაკითხვაზე უწყობდნენ, ფიზიკურ და მორალურ

შეურაწყოვას აყენებდნენ. ესეც არ იკმარეს...

ერთხელ, დღისით, თავს დასცემიან მოძღვარს ბოლშევიკი ძმები კირილე და თოქისტა ბოლქვაძეები, ჯერ წვერით უთრევიათ თავის ეზოში რომანოზი, შემდეგ ხელები სეუკრავთ, ხეზე მიუბიათ და სათითაოდ დაუგლეჯიათ წვერი.

ისირცხვილა მამა
რომანოზმა თავისუფალი
გლეხების მხრიდან ეს
არაადამიანური მოპყრობა და
ჩაიკეტა თავის თავში. იგი
ცდილობდა მრევლს აღარ ეხილა
ამგვარი დამცირებული სახით.

მიქელგაბრიელში მოღვაწე
მოძღვართაგან გამორჩეული
პირი იყო ივანე ანთიმოზის ძე
კეჭალმაძე, ქრისტიანულ ოჯახში
აღზრდილი, თავად უადრესად
განსწავლული და ჰუმანური
პიროვნება. რვა და-ზმიდან,
ორმა - ივანემ და ქრისტეფორემ,
აირჩია მამის ხელობა - ხელი
მიჰყო მღვდლობას.
ქრისტეფორეს კომუნისტებმა
ძალით დაათმობინეს
სამღვდელოება და გაპარეს
ისიც, შემდეგ მუშაობდა სუფსის
საკრამიტე ქარხანაში -
ბუღალტრად.

ივანე ცოდებით
ბლალოჩინი იყო. ზედობნის
ეკლესიაში მოღვაწეობის შემდეგ
გადასულა ოთის ეპარქიაში და
ეპისკოპოსის მაღალი წოდება აქ
მიუღია. მას გვერდით ედგა
ღვთისმსახურების
აღსრულებაში, მწელებდობის
ჟამს ოთელი თავადის ქალი და მისი ერთგული თანამეცხედრე რაისა რურუა.

ვინლა არ დააწიოკეს კომუნისტებმა!... მაგრამ ღვთისა და ერის სიყვარულით ანთებული
ივანესათვის ხელი არ უხლიათ. იგი სიცოცხლის ბოლომდე იმშვენებდა კუთვნილ პატივს
სამწყოში.

პატიოსანი მოძღვარი მთელი არსებით მისცემოდა ღვთის საქმეს, ხალხიც გრძნობდა ამას
და პატივისცემით ეპყრობოდა ყველა სიტყვას მისგან თქმულს.

1943 წელს ივანეს დაემართა ფილტვების ანთება და გარდაიცვალა. დაკრძალულია
ზედობნის ნაეკლესიარის ეზოში, რომელსაც ერთ დროს თვითონ განაგებდა.

სოფელ საღმრთოს მღვდელ-მამა ანტონ ცეცხლაძის თანადგომით და გერასიმე ნაკაიძის
უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, 1898 წელს დაარსდა საღმრთოს ორკლასიანი
სამრევლო სკოლა, რომლის გამგე-მასწავლებელი გერასიმე ნაკაიძე იყო. შემდეგ ის საღმრთოს
ეკლესიის მოძღვარიც გახდა.

ორი წლის მანძილზე სკოლის შენობის უქონლობის გამო, გერასიმე მოწაფეებს თავის
ოჯახში ამეცადინებდა. მას სამედიცინო საქმიანობაც ეხერხებოდა, ამიტომ ავადმყოფებს
სამედიცინო დახმარებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უწევდა.



ეკლესიის წინ

მამა გერასიმე საღმრთოს ეკლესიის მღვდელი და ორკლასიანი სამრეკლო სკოლის გამგე მასწავლებელი იყო 1921 წლამდე.

ბოლშევიკების რეჟიმის გამარჯვების შემდეგ, ის იძულებული გახდა წასულიყო აჭარაში, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. რეპრესიების სუსხი აჭარაშიც განიცადა - იგი შუა აზიაში გადასახლეს, ძლიერ ცემას ვერ გაუძლო და მალე გარდაიცვალა.

გავიდა ხანი. მამა გერასიმეს ხსოვნას ხალხი გულით ატარებდა და ეთაყვანებოდა. 1998 წელს, სკოლის დაარსებიდან 100 წლის იუბილეზე საშუალო სკოლას მამა გერასიმე გერასიმე ნაკაიძის სახელი ეწოდა.

30-იანი წლების დასაწყისში კომუნისტებმა დაანგრიეს საღმრთო ეკლესიის ულამაზესი შენობა და კოლმეურნეობის კანტორად გადააკეთეს. შემდეგ ეს შენობა ვიღაც მაწანწალა ლოთმა დაწვა.

საღმრთოს ეკლესიაში არსებული ყველა ნივთი განადგურდა, წიგნები კოცონზე დაწვეს, ხოლო, ხატები და სხვა ძვირფასი ნივთები დაიტაცეს.

საღმრთოს ეკლესიის ნაფუძვარზე და ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე გააკეთეს სტადიონი.

ეკლესიიდან ჩამოხსნილი ზარი, ხანგრძლივი დროის მანძილზე ეკიდა სკოლის შენობაში, ხოლო შემდეგ, როცა სკოლაში ელექტროზარი გაკეთდა, სკოლის ზოგიერთმა ათეისტმა პედაგოგმა ეკლესიის ზარი ხევში გადააგდო.